



35 წელი გავიდა 9 აპრილის ტრაგედიიდან



9 აპრილს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, გურიის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები დაბა ჩოხატაურში მოქალაქეებთან ერთად გარდაცვლილთა სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს დაესწრნენ. 9 აპრილის მემორიალი და გმირულად

დაღუპული ნატო გიორგაძის საფლავი ყვავილებით შეამკეს. „დღეს განსაკუთრებულად ამაყია ქართველი ერი, განსაკუთრებულად ამაყია თითოეული ჩოხატაურელი. არ-აფერში არ ჩანს ისეთი დიდი პატრიოტიზმი, ვიდრე სამშობლოს თავ-ისუფლებისთვის ბრძოლას სიცოცხლე შესწირო.“



ა ლ ი ო ნ ი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოსვლის 1931 წლის 5 იანვრიდან
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოსვლა. № 8 (10474) 11 აპრილი 2024 წ. შპსი 80 თმთრი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომაში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დასრულდა



ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომაში საბავშვო ბაღის მშენებლობის პროგრამის ფარგლებში და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დასრულდა. სადამხრდელი პროექტი გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, გურიის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირების თანხმობით დაიწყო მშენებლობის სამუშაოები. მშენებლობის პროგრამის ფარგლებში და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დასრულდა.

ნებულმა გიორგი ურუშაძემ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ თალაგვაძემ, საკრებულოს წევრებთან ერთად მიიწვეს და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დასრულდა. სადამხრდელი პროექტი გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, გურიის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირების თანხმობით დაიწყო მშენებლობის სამუშაოები. მშენებლობის პროგრამის ფარგლებში და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დასრულდა.



შეუპოვარი ბრძოლით მოპოვებული საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

ალიონი. 9 აპრილი განსაკუთრებული მოვლენა იყო ქართველი ერის ისტორიაში. რუსეთის იმპერიამ კიდევ ერთხელ აჩვენა თავისი სახე-ე-წ-სსსრკ“ ერთგვარი ფიქცია აღმოჩნდა. ამ დღეს თბილისში მომხდარი ხოცვა-ჟლეტა, ადამიანების მოწამვლა ქიმიური ნივთიერებების საშუალებებით, ადამიანების მიმართ მიმართული მძიმე დანაშაული იყო 9 აპრილს ჩვენი რეგიონიდან 2 ახალგაზრდა გოგო დაიღუპა. ლიხაურელი ნინო თოიძე და ხიდისთაველი ნატო გიორგაძე. ნინო თოიძე ჩაის სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების თანამშრომელი იყო. მცირე ხნით რუსეთში სწავლობდა ინჟინერიის ფაკულტეტზე, რის შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში



1989 წლის 9 აპრილს ტრაგიკულად დაიღუპა თბილისში, რუსთაველის გამზირზე გამართული საპროტესტო დემონსტრაციის დარბევის დროს. არსებული ინფორმაციით, იგი თითქმის ტოვებდა რუსთაველის გამზირს, დროსაც დაინახა, რომ მისი მეგობარი აზა ადამია რუსმა სამხედროებმა წააქციეს და ნიჩაბს ურტყამდნენ, მის დასახმარებლად გაიქცა და მასაც ჩაარტყეს თავში ნიჩაბი. დაკრძალეს 15 აპრილს სოფელ ლიხაურში. 2014 წლის 9 აპრილს,

ტრაგიკული მოვლენებიდან 25 წლის თავზე საქართველოს პრეზიდენტმა ოჯახის წევრებს წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი გადასცა. 9 აპრილს სოფელ ლიხაურსა და ხიდისთავში ნინო თოიძისა და ნატო გიორგაძის საფლავებზე იმყოფებოდნენ სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების, საზოგადოების წარმომადგენლები. **ვასტანგ მაყიფილი,** მხატვარი, ჰელსინკის კავშირის წევრი: -1989 წელს ქვეცნობიერად მივედი თავისუფლებისთვის ბრძოლაში. 10 აპრილს დიდი მიტინგი ჩატარდა ოზურგეთში, თეატრალურ მოედანზე. იყო მუქარები -ჯარი მოდის, მაგრამ ჩვენ არ შევშინდით, მიტინგი მაინც ჩატარდა.

შემდეგ შემოქმედის ტაძრისაკენ გავემართეთ. 10 ათასამდე კაცი შეგროვდა ტაძრის ეზოში. მე ეკლესიის სამრეკლოდან მივმართე ხალხს, საჯაროდ დავტოვე კოშხისტური პარტიის ბილეთი და მოვუწოდე სხვებსაც დატოვებინათ კომპარტია. დამიბარეს უშიშროებაში. მეუღლეს ვუთხარი: - მგონი მივგრენ და მაციმბირებენ, თბილი ტანსაცმელი მომიზადე-თქო. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია 9 აპრილამდეც და შემდეგაც ჩამოდიოდნენ ოზურგეთში და ვხვდებოდი მათ. 9 აპრილი არის შეუპოვარი ბრძოლით მოპოვებული საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.

ზაურ კოსტავა, ჰელსინკის კავშირის წევრი, პირველი მოწვევის ეროვნული პარლამენტის წევრი: - 9 აპრილი დიდი ბრძოლის დღე იყო. გული მწყდება, როცა ვხედავ დღეს რა მდგომარეობაა -როგორ გვეცლება ხელიდან ეროვნული ცნობიერება. **ნანა ფითლიძე,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ ლიხაურში: -9 აპრილი უდიდესი დღეა საქართველოს ისტორიაში, რომელმაც თავისუფლება მოგვიტანა. სწორედ ამ გმირების დამსახურებაა ეს. მუშაობა რომ ლიხაურელთა რძალი ვარ. ნინო თოიძე, ისევე როგორც 9 აპრილის სხვა გმირები ზეცაშია. ღმერთმა უმრავლეს საქართველოს გმირები.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 150 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 200-200 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 400 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 400 ლარი ღირს;
- შიდა შავთორი გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 70 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 30ლარი;
- სამელოვიარო განცხადება - სიტყვა 30 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საჯალო ფასი: 80 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 3,20 ლარი, სამი თვით - 9,60 ლარი, 6 თვით -16 ლარი, ერთი წლით - 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაცემა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100
კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოქმბათი აციონზე
«ალიონით»

გურიის მხარეში 9 აპრილს დაღუპულ გურიელებს პატივი მიაგებს



გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ**, მოადგილეებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, 1989 წლის 9 აპრილს დაღუპული ოზურგეთელი ნინო თოიძისა და ჩოხატაურელი ნატო გიორგაძის საფლავები ყვავილებით შეამკო და პატივი მიაგო მათ სლოგანს. „1989 წლის 9 აპრილი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შევიდა როგორც დამოუკიდებლობისთვის და თავისუფლებისთვის ბრძოლის დღე. ამ ბრძოლას 21 გმირი ქართველის სიცოცხლე შეეწირა, მათ შორის ორი გურიის რეგიონიდან იყო. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად პატივი მივუგებთ მათ ხსოვნას, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ისინი და მადლობას ვუხდით თავისუფლებისთვის“, - აღნიშნა სახელმწიფო რწმუნებულმა.

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში სურსათის პრობნული საკითხის ხელშეწყობის საშუალო უზრუნველყოფის განხილვა



გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელთან **ზურაბ ჩეკუაშვილთან** საშუალო უზრუნველყოფის საკითხის განხილვა გაიმართა, რომელსაც მხარის რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ**, პირველ მოადგილესთან **ქეთევან მისწრაფი** და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელ პირებთან ერთად დაესწრო. შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს სურსათის უზრუნველყოფის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მიმართულ საკითხებთან დაკავშირებით არსებულ გამოწვევებზე.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი ჩოხატაური-ზომლეთის 11 კმ საავტომობილო გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით

გვსურს გამოვეცხადოთ ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერით გასულ სოუფტს ჩოხატაური-ზომლეთის 11 კმ საავტომობილო გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. მოუხდევად იმისა, რომ უზრუნველყოფის მიზნით ინფორმაცია გზის ცალკეული მონაკვეთების დაზიანების მიზეზებთან დაკავშირებით, სოუფტის ავტორები კონკრეტული ოპოზიციური პარტიების ინტერესებისათვის, მანიპულაციითა და უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი ბრალდებებით კვლავ ცდილობენ მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას. საქმე ისაა, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით, რეაბილიტაციის მიზნით დაკვეთილი მონაკვეთები მნიშვნელოვანი დაზიანების ჩოხატაური-ზომლეთის 11 კმ-იანი საავტომობილო გზის 5 ცალკეულ მონაკვეთზე, ჯამში, 215 მეტრზე, 2023 წლის შემოდგომაზე გურიაში განვითარებულმა სტიქიამ დააზიანა გზის საფარი ნაწილი. ამ ეტაპზე, გრძელდება მეწყერული პროცესებისგან დაზიანებულ მონაკვეთებზე დაკვირვება და ბუნებრივი, დაზიანებულ მონაკვეთებზე ჩატარდება საჭირო სამუშაოები, მას შემდეგ, რაც ამ პროცესებით გამოწვეული ვადები საშუალოების ჩატარების შესაძლებლობას მოგვცემს. ამასთან, საავტომობილო გზების დეპარტამენტს გზის რეაბილიტაციის სამუშაოები არ აქვს მიღებული მიღება-ჩატარების აქტით და არ არის ანაზღაურებული საშუალო ღირებულება. შესაბამისად, კონტრაქტორი კომპანია აქვს როგორც რაიმე ხარვეზის გამოწვევების, ისე მეწყერულ მონაკვეთებზე დაკვირვებისა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების ვალდებულება. ჩოხატაური-ზომლეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, 11 კმ-ზე გზაზე მოეწყო ახალი წყალგამტარი რკინა-ბეტონის ხელოვნური ნაგებობები, ფერდის დამჭერი რკინა-ბეტონის საყრდენი კედლები და ახალი ასფალტ-ბეტონის საფარი.

9 აპრილს დაღუპულთა სულის მოსახსენიებელ პანაშვილს დაესწრნენ



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი**, მოადგილეებთან და საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძესთან** ერთად ივერონში დაღუპულთა სულის მოსახსენიებელ პანაშვილს დაესწრო. შემდეგ კი ადგილობრივი ხელისუფლების პირველმა პირებმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმოწერი ვა ფირცხალიშვილისა და გურამ გუჯაბიძის საფლავები ყვავილებით შეამკეს. კულტურის ცენტრის წინ ამ დღისადმი მიძღვნილი პერფორმანსი გაიმართა.

USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამამ უნიციტალიტეტებთან მიღწეული შედეგები შეაჯამა



ღონისძიებას საქართველოს დეცენტრალიზაციის პროცესში ჩართული ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, საერთაშორისო განვითარების ინსტიტუტებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და დეცენტრალიზაციის ექსპერტებთან ერთად ესწრებოდნენ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი **დავით შარაშიძე** და საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი კუჭუგა**. პანელორ დისკუსიაზე ჩოხატაურის მერმა აუდიტორიას გაუზიარა გამოცდილება ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის პარტნიორობით წარმართული ღონისძიებების, კერძოდ, დასახლების საერთო კრებების, მოქალაქეთა მონაწილეობის სტრატეგიის, ღია მმართველობა პარტნიორობის (OGP Local) ადგილობრივი სტრატეგიული ხედვისა და სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელების გაუმჯობესების მექანიზმებზე.

ანზორ ერქომაიშვილის ხსოვნას მიეძღვნა



ალიონი. 31 მარტს ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის წინ საქართველოს ფოლკლორის ცენტრის დამაარსებლის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ანზორ ერქომაიშვილის გარდაცვალებიდან 3 წელი აღნიშნეს. ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის წინ შეიკრიბნენ კულტურისა და ხელოვნების მუშაკები, ანზორ ერქომაიშვილის თანასოფელები, ფოლკლორის ცენტრის მოსწავლეები. დიდი ხელოვნის და მასწავლებლის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი ოზურგეთის საკათედრო ტაძრის მიძღვარა მამა ერმალოსმა გადაიხადა. გურიის გუბერნატორის მოადგილე **ზაზა შოშიტაიშვილმა** ყვავილების გვირგვინით შეამკო ანზორ ერქომაიშვილის მემორიალური დაფა. ფოლკლორის ცენტრის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმა შეასრულეს საგალობლები. როგორც ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელმა **აფთხაძემ** აღნიშნა, ამ დღეს ფოლკლორის ცენტრების აღზრდილებმა საგალობლები შეასრულეს ქუთაისის ბაგრატიონის და მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრებში.

სოფლის ცხოვრება



ბახვი ჰესი კომპანია ბახვი ჰესი – ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, ბუნებასა და რეგიონის განვითარებაზე

ბია სალუქვაძე-ტურისტს უნდა სუფთა, ნახევრად ველური ბუნება, მდინარე, ტყე, თევზაობაც, მაგლის ყივილიც. მგლის ყივილს ვერ უშვიათავაშვით მებრამ „ტურისტის კივილიც“ კი „ბედნიერებაა“

პროგრამა „შეასკინებლეთ საქართველოში“ და ოჯახური სასტუმროების დიდი პარკინგები გურიისში

„შემიძლია ვთქვა, რომ ამ პროექტმა აჭრის ხეობას ახალი სიცოცხლე მისცა, უკვე დაიწყო მიწების შექმნა საოჯახო სასტუმროების აშენების მიზნით. როცა მშენებლობა დაიწყო თურქ ბიზნესმენთა ჯგუფმა თურქეთში, არდაშენში წამოვიყვანა, სადაც ძირითადად ლაზები ცხოვრობენ. როცა მივიღო, იქაური გარემო ლიხაური მეგონა, ისე გავდა. სულ ოჯახური სასტუმროები, ერთი მეორეს მიყვლობით. მითხრეს, რომ მთავარი პრინციპია მაქსიმალურად შევინარჩუნოთ ბუნება, დამსვენებელი თავისით მოვა, მას ძენა არ სჭირდება, მილიონობით ადამიანი ცხოვრობს მსოფლიოს მეგაპოლისებში, სადაც მდინარეც ენატრებათ, ტყეც და სიმყუდროვეც. მაგლის ყივილიდან დაწყებული ყველაფერი შეგვიძლია გავყვილოთ, რაც სოფლის ბუნებას თან ახლავს და მასზე გიჟდებიან და მზად არიან კარგი პირობების შემთხვევაში ეს მომსახურება შეისყიდონ“

ბია სალუქვაძე: კომპლექს „ნაბადას“ მფლობელი;



ლადო მენაბდე-„გურიის მოამბე“

საოჯახო სასტუმროები იდეალური საშუალებაა იმისთვის, რომ საქართველოს ნებისმიერ მხარეში თქვენი მოგზაურობა უფრო მრავალფეროვანი და თავგადასავლებითი დატვირთული გახადოს. საოჯახო სასტუმროებში უფრო თბილი და ოჯახური გარემოა, უფრო ბუნებრივად და რაც მთავარია, უფრო მეტად არის შესაძლებელი გაიწიოთ ადგილობრივი ყოფა, ადგილი და მათი კულტურა, ადგილობრივი უფრო მეტი, ვიდრე ამას პრემიუმ კლასის სტანდარტულ სასტუმროში შეძლებდით. ამასთან საქართველოს რეგიონებში საოჯახო სასტუმროები უფრო ხელმისაწვდომია მათი სიმრავლის ფონზე. ასე რომ, თუ განსხვავებულ გამოცდილებას ეძებთ დასვენებისას, ამისათვის ოჯახურ სასტუმროს ალტერნატივა არ აქვს.

დაბადა, გამონაკლისი ვიყავი მე, რომელიც თბილისში დაბადდა. ყოველთვის მინდოდა ამ ადგილს დაბრუნებული, მოგვსენებთ აქ არსებული აჭრის მონასტერი გურიელებმა საწინამძღვროდ გადასცეს თავაშვილ-სალუქვაძეებს და მონასტრის ერთ-ერთი ბოლო წინამძღვარი მამაჩემს ბაბუა, არსენი იყო.

ამ ცნობილი ისტორიის შესახებ არ ვისაუბრებ, ეს ცნობილი ამბავია და მასზე ბევრი დაიწერა. მინდა, მოგიყვებოთ როგორ ჩაისახა ეს იდეა, რატომ განვახორციელეთ აქ და რა იყო ამის მამოძრავებელი ძალა.

„ჩვენი კომპანია ორიენტირებულია უმჯობესად ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი და ვფიქრობთ, კლანტაციები იტაკობრივად გადავიყვანოთ ბიომეურნეობაზე“

ლანა ჟღანტი, 32 წლის, კომპანია „პლანტაციას“ დამფუძნებელი „რამდენიმე წლის წინ გადავწყვიტე, საცხოვრებლად სოფელში წამოვსულიყავი და ჩემი ოჯახის დაწყებული საქმე, ჩაის წარმოება გამეგრძელებინა. ყველაფერი არც ისე მარტივი აღმოჩნდა, თუმცა დიდი ძალისხმევითა და დაუღალავი შრომით მნიშვნელოვან შედეგამდე მივედი. საქმიანობის სფერო გავაფართოვე და დღეს ჩვენი კომპანია ორიენტირებულია შექმნას ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი და ვფიქრობთ, პლანტაციები უტაკობრივად გადავიყვანოთ ბიომეურნეობაზე.“

ინტერვიუ კომპანია „პლანტაციას“ დამფუძნებელ ლანა ჟღანტთან:
- ლანა, როგორ გახდით „პლანტაციის“ დამფუძნებელი, როგორ გავიწყდათ იდეა, დაგეგმეთ ჩაის წარმოება, როგორი იყო თქვენი პირველი ნაბიჯები?
- წლების წინ, ჩემი მშობლები საფრანგეთში გადავიდნენ საცხოვრებლად. სოფელ მელექედურში მათ ჰქონდათ მცირე საოჯახო ჩაის წარმოება, 1 ჰექტარი ჩაის პლანტაცია და საბჭოური დანადგარებით მცირე რაოდენობის ჩაის პროდუქციას ამზადებდნენ, შემდეგ კი მის რეალიზაციას ახდენდნენ.



გაბრიელ ეპისკოპოსის ოზურგეთის სამრევლო სკოლის დამთავრების შემდეგ ვსწავლობდი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე კინო-ტელე მხატვრის სპეციალობით და ვმუშაობდი სხვადასხვა მიმართულებით. რაღაც პერიოდში გადავწყვიტე სოფელში დაბრუნება, მშობლების მიერ დაწყებული საქმიანობის გაფართოება და შემოსავლიან ბიზნესად ჩამოყალიბება. გურიის სოფელი კავშირი მქონდა, ჩაის წარმოება ჩემთვის ნაცნობი საქმიანობა იყო, თუმცა დამზადების პროცესი არ ვიცოდი და პირველი პროდუქტი დედისთან სატელეფონო კავშირით და მისი რჩევებით მივიღე. ფაქტობრივად, ყველაფერი დაგეგმეთ ნულიდან. ვიყიდეთ ჩაის პლანტაციები, ჩავუტარეთ რეაბილიტაცია. პირველივე წელს მონაწილეობა მივიღეთ „აწარმოე საქართველოს“ საგრანტო კონკურსში, რომლის ფარგლებშიც საწარმოში საბჭოური დანადგარები ჩავანაცვლეთ ჩინური და კორეული ტექნიკით. გავზარდეთ როგორც წარმოებული პროდუქტის სახეობა და რაოდენობა, ასევე ხარისხი.

დაფინანსება პროგრამების „აწარმოე საქართველოს“ და შე-ლაგათიანი აგროკრედიტის ფარგლებში მივიღეთ და ჩაის პლანტაცია 5 ჰა ფართობზე გავაშენეთ.
ამჟამად სეზონზე ნელ-ნელა ვვალდებულვართ როგორც საკუთარი, ისე სხვა ადგილობრივი მცხოვრებლების პლანტაციებიდან. ჯამში 20 ჰექტრამდე ჩაის პლანტაციაზე იკრიფება ფოთოლი.
პარალელურად წელს შე-ლაგათიანი აგროკრედიტის ფარგლებში ავაშენეთ 200 კვ-მეტრი ფართის საწარმო, რომელიც ალტურვილი იქნება უახლესი უცხოური დანადგარებით.
საწარმოში დასაქმდება 5 ადამიანი, ხოლო პლანტაციების მოვლისა და კრეფის პროცესში 80-100 ადგილობრივი.

შესაბამისი ფორმების დიეტა-განვითარება, ასევე, გურული ჩაი ხარისხის სტანდარტიზაცია, გასაღების ბაზრების მოძიება, შეთავაზებების მომზადება და ბრენდინგისა და შეფუთვების შექმნა.
პროექტის ფარგლებში ყოველწლიურად იმართება გამოფენები, რომელიც სულ უფრო პოპულარული ხდება.
- თქვენ ტურიზმში ასე-ნეთ, რა ადგილი უკავია აგროტურიზმს თქვენს საქმიანობაში?
- აგროტურიზმი სულ უფრო პოპულარული ხდება. რეგიონის ტურისტებისთვის საინტერესოა ადგილობრივი წარმოების პროცესის გაგება და ნატურალური ჩაის პროდუქციის დაგეგმვა.
2 წელია, რაც წარმოებასთან ერთად ტურისტული მიმართულებით მუშაობა დაიწყო. ჩვენს სახლს, რომელიც უკვე 100 წელს ითვლის, ჩავუტარეთ რესტავრაცია, მოვაწვეეთ და გავაღამაზეთ ეზო, ავაშენეთ ჩაის სადგურსტაციო სივრცე, სადაც ერთდროულად შეგვიძლია 30-მდე ადამიანს ვუძახინდოდოთ. სტუმრებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ ქართული ჩაის ისტორიას, ჩაერთონ კრეფისა და გადამამუშავების პროცესში, მიიღონ ჩაის დეგუსტაციისა და ადგილობრივი კერძების დაგეგმვების მომსახურება.
ჩვენთან პლანტაციაში სტუმრები იყენებენ ნორვეგიის სამეფოს საგანგებო და სრულუ-
- ასოციაცია „ჩაის გზა“, რომლის დონორი ორგანიზაციები ბახვი ჰესი და USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროექტი გახლავთ, რეგიონის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენას და ადგილობრივი მეწარმეების მხარდაჭერას ითვალისწინებს. ასევე, ამ პროგრამის მიზანია გურიაში, ჩაის კულტურასთან დაკავშირებული ტრადიციების აღდგენა და ტურისტებისთვის გამოცდილების შეთავაზების

ბია სალუქვაძე-„ტურისტს უნდა სუფთა, ნახევრად ველური ბუნება, მდინარე, ტყე, თევზაობაც, მაგლის ყივილიც. გზის ყმუილს ვერ უმვთავაზებთ მაგრამ „ტურისტის კივილიც“ კი „ბეღინიერობა“

„ჩვენი კომპანია ორიენტირებულია უმჯინას ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი და პოპულარიზაციის, კლანტაციები მთავრობისად დადასტურებული ბიომეურნეობაზე“



დაემთხვა პანდემიის პერიოდში. 2019 წელს, პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ ქვე-პროგრამაში „უმაღლესი საქართველოში“ გამოაცხადა კონკურსი, სადაც გამარჯვებულს, სახელმწიფო მნიშვნელოვან შედეგად აღიარებულს, სთავაზობდა. დახლოებით ასე იყო, მაგალითად ავიღე 100 ლარი, 13 ლარი პროცენტი გადასახადი, აქედან 10 ლარს სახელმწიფო იხდდა, შემდეგი ორი წელი კი ძირითადი გადასახადიდან თავისუფლებოდა. ძირითადი გარდასახადები იყვნენ მშენებლობის დასრულებიდან ორი წლის, ანუ ექვს-ღობიერიანი ვაგონების შეწყვეტის შემდეგ, პროგრამის პირობები ახლა კიდევ უფრო გაუმჯობესებულია და სახელმწიფო ქონებრივი უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც ახორციელებს დახმარებას.

მინდა, მოუწოდო გურიის მოსახლეობას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, დაინტერესდნენ ამ პროგრამებით, ეს ძალიან მომგებიანი იქნება არამარტო მათი ოჯახების, არამედ ჩვენი ოზურგეთისა და მათი სოფლებისათვის. ბევრი ადამანი მოგვმართავს დახმარებისთვის და ჩემი ოჯახი, განსაკუთრებით ჩემი ვაჟი უანგაროდ ეხმარება ყველას პროექტის მომზადებაში, ასევე ვესმარებან მერიასა და გუბერნიაში. მსურს, ბევრმა კრეატიულად მოაზროვნე ადამანი მიიღოს მონაწილეობა, უამრავი საგრანტო კონკურსი მცირე წარმოების დასაწყებად თუ დაწყებული განსაჯიბრებლად. რა თქმა უნდა, არის შემთხვევები როცა ამ სიკეთეებს, რომელიც სახელმწიფოდან მიიღის, არაკეთილსინდისიერად იყენებენ, მაგრამ კარგი მაგალითიც ბევრია.

ახლა მაგალითად, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სა-

აწვევ საინტერესოა, რომ მე კვრცხს, ქიბინს, თაფლს, ხილს, ბოსტნულებს ადგილობრივი გლეხებისგან ვციფლიობ. ჩემს მეზობლად უკვე გააკეთეს პატარა სასათბურე მუდრეობა, რომელიც ჩემს ბიზნესს სრულიად აკმაყოფილებს. რასაც მიიწვევენ ყველაფერს ვიღებ, ანუ ჩვენ ირიბად სხვა დარგებსაც ვავითარებთ. ბევრი ფიქრობს უკვე თუნდაც პატარა ტიპის საოჯახო სასტუმროების მშენებლობაზე, ასევე აჭის ხეობის გარდა ამის დიდი პოტენციალი აქვს შემოქმედს, განსაკუთრებით სოფელ ვაოში, ვაკიჯვარს, მოისპირს, ასკანას, კონჭკატოს, ვუტათს.

შემოქმედი, აჭი და ვუტათი იდეალური ადგილია ასევე პოლიტიკისათვის, ჩვენ შეგვიძლია პოლიტიკული ტურიზმი განვითაროთ.

გურიაში ძალიან განვითარებულია ზღვისპირა კურორტები. ბევრი საუბარი მთის კურორტებზე, მაგრამ 90-იან წლებში დაწყებულმა პრივატიზაციამ, რომელიც ბევრ კონსტრუქციულ ნიშნს ბაღებს, ამ კურორტებს განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნა. თანაც ისინი სეზონურია, ოჯახურ სასტუმროებს კი ამ მხრივ განვითარების უნიკალური რესურსები და პირობები აქვს.

ძალიან დიდი მთიანეთია ტყე-მაღვლა, საწყებლს ვუფლისხნობ. აქ ერთმა ოჯახმა დაიწყო ტყე-მთის სასტუმროს წარმოება და მისი ნაწარმს მთლიანად ჩვენ ვყიდულობთ, კარგი იქნება თუ დამირას ვაშლსა და ხეჭვჭურის მსხალს მოგვავწყდის ვინმე, საშუალოდ ადარა.

ტურისტს უნდა სუფთა, ნახევრად ველური ბუნება, მდინარე, ტყე, თევზაობაც, მაგლის ყივილიც. მელის ყივილს ვერ შევთავაზებთ, მაგრამ ტურების კვილიც კი „ბეღინიერობა“ ბევრისთვის. პარალელურად კი უსაფრთხოება და კომფორტი – ეს ჩვენ შეგვიძლია და ამას ბევრი შეძლებს თუ ყურადღებით იქნება და პასუხისმგებლობით მოუდგება სახელმწიფო პროგრამებს.

მინდა, საზოგადოებას მოუწოდო ისარგებლოს ამ პროგრამებით, მივიღონ ან ჩუბინიუხთან, ვაზო გველებთან, ლიკა დღონთან. რაც უფრო მეტი ვიქნებით გადავალთ კოოპერაციულ ურთიერთობებზე, რაც გამყარებს სტაბილურობას და გაზრდის შემოსავლებს.



ფლებიანი ელჩი, ჰელენ სანდანდრესენი და გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი საქართველოში კაორი იმიკავა; აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი (2020-2023 წწ.); იაონინის ელჩი - იმამურა აკირა; ნიკ ბერესფორდი - გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი; მარკ მაკკორდი USAID - ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ხელმძღვანელი და სხვები.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ჩაის პლანტაციები შორს არ არის წარმოებისაგან და ტურისტებისთვის მეტად მოსახერხებელია.

ტურისტებს სხვადასხვა ხერხით ვიზილიდა, ინფორმაცია განათავსებული გვაქვს **Booking.com**-ზე , **Airbnb**-ზე , **Georgian travel guide**-სა და სხვადასხვა სოციალურ-პლატფორმაზე (**Facebook, instagram, tik-tok**) და ა.შ.

გვემათ თუ არა ბიო ჩაის წარმოებას და რა ადგილი უკავია გარემოს დაცვის მიზნებსაც თქვენს საქმიანობაში?

ჩაის მწარმოებელი კომპანიების სიმრავლის მიუხედავად, მსოფლიოში ბიო ჩაის დეფიციტია. დარგის სპეციალისტების აზრით, საქართველოს ამ მიმართულებით დიდი პოტენციალი აქვს. კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მისი გემოვნური თვისებები განსხვავდება, უფრო სავერლოვანი და დაბალანსებულია. მაკენებ-

ლი მწერებისგან დაავადების რისკიც დაბალია, ამიტომ პესტიციდებს ნაკლებად საჭიროებს. სწორი ტექნოლოგიური დამუშავებისა და კარგი მარკეტინგული კამპანიის შემთხვევაში, ეს პროდუქტი კონკურენტისა გაუწვევს სხვა მწარმოებელ ქვეყნებს. ჩვენი კომპანია ორიენტირებულია შექმნას ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი და ვფიქრობთ, პლანტაციით ბიომეურნეობაზე.

რამდენი სახის პროდუქციას უშვებთ, როგორია რეალიზაციის მანერები და რამდენადაა შესაძლებელი, ქართულმა ჩაიმ დირსეული ადგილი დაიკავოს უცხოურ ბაზარზე?

დღემდე ვაწარმოებდით 3 სახის - შავი, მწვანე და მოცვის ჩაის - 3-4 ტონამდე. პირადად მე ბავშვობიდან უბირატესობას შევ ჩაის ვანიჭებ, თუმცა მოცვის ჩაიც ძალიან მიყვარს.

როგორც ვითხარით, წელს ახალი საწარმო ავაშენებთ და ჩამოგვაქვს დამატებით დანადგარები. მოლოდინი გვაქვს, რომ წარმოების მოცულობას 5-ჯერ გავზრდით. ჩაის ვყიდით როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ბაზარზე. გაყიდვების პრობლემა დღემდე ყველაზე დიდ გამოწვევად რჩება მწარმოებისთვის, ვფიქრობ ეს საკითხი უტაპობრივად მოგვარდება. მწარმოებლებმა მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ ეკოლოგიურად

სუფთა პროდუქტი მივიღოთ, რათა ადგილი დავიკვიდროთ ევროპულ ბაზარზე. ეს ცოტა რთული და გრძელვადიანი პროცესია, თუმცა ქართული ჩაი აუცილებლად დაიბრუნებს თავის ადგილს ქართულ ბაზარზე და დირსეულ ადგილს დაიკავებს საერთაშორისო ასპარეზზეც.

მეწარმეები ჩვენთან საუბრებში აღნიშნავენ, რომ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია ელექტრონული უწყვეტი მიწოდება და პესების მშენებლობის განახლებად ელექტროენერგეის ანიჭებენ უბირატესობას. თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხთან დაკავშირებით?

განახლებადი ენერგია და ამ თვალსაზრისით ჰიდროელექტროსადგურების განვითარება კრიტიკულ როლს ასრულებენ ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი ინტერესია. ამ პროცესს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკის, განათლების, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში. მნიშვნელოვანია პესების დადებითი და უარყოფითი ზემოქმედების სრულყოფილი შეფასება საერთაშორისო ექსპერტებისა და ადგილობრივი სპეციალისტების მერ, რათა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი გარემოზე ზემოქმედების რისკები.

წარმატებული ბიზნესმენები ბურიიდან – მაგალითი როგორ დავპლიოთ სიღარიბე

1 ლიტრი ბენზინის იმპორტი 50 თეთრით გაკვირდა - ადგილობრივ ბაზარზე ფასი მართ კვირავი კიდევ მოიმატებს“



საქართველოს 1 ლიტრი საწვავის იმპორტი 50 თეთრით გაუძვირდა. ამის შესახებ „ბიზნესპრენსიუსს“ „სენტა ოილის“ დამფუძნებელი ზალ აკობიძე ესაუბრა. მისი თქმით, რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილების მიხედვით, 1-ლი მარტიდან, საწვავის ექსპორტი 6 თეთრ აკრძალა, საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასის მომატებაც დაერთო, რამაც შესაყიდი ფასი გაზარდა.

როგორც „სენტა ოილის“ დამფუძნებელი აზბობს, გაძვირებული საწვავის ნაწილი ჯერ კიდევ გზაში და ადგილობრივ ბაზარზე, ერთი კვირის ვადაში, ფასი დაახლოებით, 10-15 თეთრით კიდევ მომატებს.

რაც შეეხება ალტერნატიულ ბაზრებს, როგორც ზალ აკობიძე განმარტავს, ახლა მთავარი იმპორტიორი ბულგარეთია.

„მას შემდეგ, რაც რუსეთმა

საწვავის ექსპორტი აკრძალა, ამას დემატა ისიც, რომ საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასი გაიზარდა (თან აქ ფასების ფორმულაც განსხვავებულია) და ბუნებრივად, შესაყიდი ფასი გაიზარდა. რუსეთის გადაწყვეტილების შემდეგ, საწვავის ფასი მინიმუმ 150 დოლარით გაიზარდა, ანუ, 1 ლიტრი ბენზინის იმპორტი 50 თეთრით გაძვირდა.

ადგილობრივ ბაზარზე უტაპო-

ბრივად უკვე აისახა, 5-10 თეთრით მატება ვეკიზდა. თუმცა, გაძვირებული საწვავის ნაწილი ჯერ კიდევ გზაში და ერთ კვირაში კიდევ მომატებს, შეიძლება, 10-15 თეთრით გაძვირდეს.

რაც შეეხება ბაზრებს, ამ უტაპზე რუსეთი ბულგარეთმა ჩანაცვლა, ასევე შემოდის საბერძნეთიდან და ბულგარულიდან, - აზბობს ზალ აკობიძე.

„მეზადური და ოქროს თევზი“ ოზურგეთის თეატრის სცენაზე



ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში საბავშვო სპექტაკლის, „მეზადური და ოქროს თევზი“ პრემიერა შედგა. ცენტრალური სახელმწიფო კლასიკური ნაწარმოები მნიშვნელოვანი მორალური ღირებულებით – „ხარბი და ბოროტი ვერაფერს მოიგებს, ყვე-

ლაფერს დაკარგავს, ცხოვრებას მოილეგს, ბოლოს კი ინანებს“. ალექსანდრე პუშკინისა და ძმები გრიმების ზღაპრის მიხედვით შექმნილი სპექტაკლის დადგმის ხელმძღვანელი ვასილ ჩიგოგიძე, ინსცენირების ავტორი და რეჟისორი ლალი თაბაგარი, სცენოგრაფი ლომეულ მურუსიძე, ხოლო ქორეოგრაფი სოფო ღლონტი გახლავთ.

მსახიობ ბიორები დოლიმეს ბიორები გეგმეჭორის სახელობის პრემია მიენიჭა



შემოქმედებითი კავშირი-საქართველოს თეატრალური საზოგადოების გადაწყვეტილებით, წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის როლის შესრულებისათვის, გიორგი გეგმეჭორის სახელობის პრემია მსახიობ ბიორები დოლიმეს მიენიჭა.

წმიდა ექვთიმე შესახებ მნიშვნელოვან მოვლენებს აცოცხლებს, მათ შორის მოგონებები „საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში“. ოზურგეთის თეატრი პირველი ქართული თეატრია, რომელმაც წმიდა ექვთიმეს შესახებ პროექტი განახორციელა. აღნიშნულის იდეის ავტორი და დადგმის ხელმძღვანელი ვასო ჩიგოგიძეა, ინსცენირება, რეჟისორი გიორგი კახანაძე.

რეპიონის მოჭიდამება 3 ოქროს, 2 ვერცხლის და 5 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს



6 – 7 აპრილს მიმდინარე საქართველოს პირველმა ბერძნულ – რომულ ჭიდაობაში 20 წლამდელითა შორის დასრულდა, რომელსაც ოზურგეთის ვახტანგ ზღაღიძის სახელობის სპორტის სასახლე უმასპინძლა. საქართველოს ჩემპიონები და ოქროს მედლის მფლობელები ოზურგეთიდან გახდნენ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ – გამაჯანსაღებელ დაწესებუ-

ლებთან გაერთიანებულ არსებული პრეზიდენტის სექციის სპორტსმენები: **ლუკა ვაგასაძე** – 55 კგ; **ნიკოლოზ შოკაშვილი** – 87 კგ; **მწვრთნელი – კახაბერ აბაშიძე**, **ნიკოლოზ ღლონტი** – 72 კგ; **მწვრთნელი – გურამ მჭარაშვილი**. მესამე საპრიზო ადგილზე გაუძლურა: **აფთხილი მამულაძე** – 60 კგ; **მამუკა ლილიძე** – 87 კგ; **მწვრთნელი – კახაბერ აბაშიძე**. **საბოლოო** (ოქროს მედალი) – 130 კგ; **სოსო ბაბილოძე** – 130 კგ; **მწვრთნელი – თენგიზ ლაბაძე**. საქართველოს ჩემპიონები საგზურს ვეროპისა და მსოფლიოს პირველობაზე მიიღებენ. ფინალში 60 და 67 კგ. წონით კატეგორიაში ლანჩხუთელმა სპორტსმენებმა გაუძლურა.

ექვთიმე რომ დავინახე, – უმეფინდა! თითქმის გული გაჩერდა



გასული წლის ზაფხულის მიწურულს ეკლესიასთან თეატრის დირექტორი ზაზა ვინჯარაძე შეშვედა, თეატრი მოვიკითხე, ექვთიმეზე ვუთხარებო – მი-თხრა... – ექვთიმე? – გაკვირვება ვერ დავმა-ლე... – კი, გორა კახანაძე დგამს! გამიხარდა, ვიცი რომ ეს კარგი, გამორჩეული რეჟისორი მაქსიმუმს დადებ-და... – ეს სპექტაკლი უპირველესად მო-მაგალი თაობისთვის იდგება, ბავშვებს უნდა იცოდნენ ვინ იყო ექვთიმე თაყაიშვილი. – ნოდარ ლუმაბაძე თეატრიდან გაიქცა ბავშვებს მეთქი... მადლობა გადაგიხადე ასეთი შე-ფასებისთვის და თეატრისკენ წავიდა. მოხდა ისე რომ „ექვთიმეს“ ნახვა სწორედ სკოლის მოსწავლეებთან ერთად მოხდა, რადგან ასე დამთხვავდა. პირველი

ის ხარული ის მივიღე, რომ დარბაზში იჯდა თაობა, რომელსაც აქვს სწორი რეაქცია, სწორი ტაში, რომ მათი მხურ-ვალება არა მიწის ზევად, არამედ ფეს-ვეებიდან მოდის... ჩვენ ვიცით კინოფილმი „ექვთიმე“, რომელსაც საკმაოდ ცნობილი მსახიობი თამაშობს, მაგრამ ვისაც ვინმე ნახოთ ნამდვილი, ფიცხი, ვიცი, დაუცხრომილი, ეშმაკთან არ გამრიგე ექვთიმე – მოდი ოზურგეთის თეატრში და ნახეთ ეს ყვე-ლაფერი, რომელიც თვით ექვთიმეს განაცვიფრებდა. მადლობა ყველას! მადლობა ვასო ჩიგოგიძეს, რომელმაც აძლენი წელი ასე პროფესიულად, ასე უნით, ასე გზებით ატარა ეს თეატრი, საიდანაც მყურებელი მუდამ აღფრთოვანებული გამოდიოდა. მოუთმენლად ველოდებით ილას, აკაკის, ვაჟას... **ოლიგო კობალაშვილი ჩხაიძე**

ოზურგეთში ველს კეპო პარატუმი ვეროპის ღია პირველობა გაიმართება



ამის შესახებ მსოფლიო კემპის ფედერაციის პრეზიდენტმა, მსოფლიოს მრავალჯერ ჩემპიონმა **თალერდ აღასჯერდ-იფეს** ოზურგეთში განაცხადა. კემპის ფედერაციის პრეზიდენტმა ოზურგეთის I საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში კემპი კარატეში საერთაშორისო სემინარი ჩატარა. რომელსაც აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთის, ირანისა და რუსეთის წარმომადგენლები დაესწრნენ. ეს

გახლდათ საქართველოში ჩატარებული პირველი სემინარი და პრეზენტაცია კემპი-კარატეში. საერთაშორისო სემინარში და სწავლე-ვაში ფედერაციის სხვა ოფიციალური პარტნიორები იყვნენ ჩართულები, მათ შორის საქართველოში კემპი კარატეს წარმომადგენელი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ – გამაჯანსაღებელ დაწესებულებასთან გაერთიანების მწვრთნელი **ირაკლი ტულუში**. აზერბაიჯანში კარატეს დამარსებელი, ამ ქვეყნის სპორტის სახელმწიფო წარმომადგენელი **მამედოვი**, აზერბაიჯანის პრეზიდენტის წარმომადგენელი სპორტის საკითხებში **იან ბაირამოვი**, 2-ჯერის მსოფლიო ჩემპიონი **მისაელ მარჯევი**. საერთაშორისო სემინარს და სწავლე-ბულებათა გაერთიანების ადმინისტრაციის ორთაბრძოლების სექციის სპორტსმენები ესწრებოდნენ. 7 აპრილს კი I საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში კემპის პრეზენტაცია და საპატიო სტუმრის წარდგენა გაიმართდა. მიმდინარე წლის აგვისტო – სექტემბერში ოზურგეთში კემპი კარატეში ვეროპის დია ჩემპიონატის ჩატარება იგეგმება. კემპის ფედერაციის პრეზიდენტმა ირაკლი ტულუშმა, შვი ქაშირი და 3 დანი საერთაშორისო კემპის ფედერაციიდან გადასცა. მადლობის სიტყვები გადასცა ირაკლი ტულუშმა, როგორც მსოფლიო კემპის ფედერაციი, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების, I საჯარო სკოლის, ადგილობრივი მედიისა თუ სპორტულ – გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების წარმომადგენლებს.

სტუმრად ცენტრალურ ბიბლიოთეკაში

2 აპრილს, საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე აღინიშნა, რომელიც დაემთხვა დანიელი პოეტისა და მეზღაპრის ჰანს კრისტან ანდერსენის დაბადების დღეს. ამ დღესთან დაკავშირებით, ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკას სტუმრობდა ქ. ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღის (მწევრეკი მ. ღლონტი, მეთოდიისტი ნ. გრძელბერიძე) სასკოლო მზაობის ჯგუფის

აღსაზრდელები, მშობლები, პედაგოგები ნ. ქერქაძე, ნ. გოგუაძე. აღსაზრდელებს საკუთარი ხელით დამზადებული წიგნები მოიტანეს. საბავშვო განყოფილების გამგე ლ. მეტეხიძემ ბავშვებს ზღაპრები წაუკითხა, რის შემდეგ გასართობ ოთახში გადაინაცვლეს, სადაც იმხარულეს, თამაშეს, გატარებული დროით კმაყოფილი დარჩნენ.

მზე, ღრუბლი +10+14 11 აპრილი ხუთშაბათი	მზე, ღრუბლი +10+17 12 აპრილი პარასკევი	ვრცობა +10+14 13 აპრილი შაბათი	ღრუბლი +8+13 14 აპრილი კვირა	მზე, ღრუბლი +9+16 15 აპრილი ორშაბათი	მზე, ღრუბლი +13+20 16 აპრილი სამშაბათი	მზე, +13+21 17 აპრილი ოთხშაბათი
--	--	--	--	--	--	---